აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების

საქმიანობის ანგარიში[1]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (ე.წ. სტამბულის კონვენცია), გაეროს კონვენციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW,1979) და მისი ფაკულტატიური ოქმის (1999), ასევე CEDAW-ის კომიტეტის №19 საერთო რეკომენდაციის ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“ შესაბამისად.

2017 წლის 16 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №35 - უ.ს.გ.ს. დადგენილებით შეიქმნა უმაღლესი საბჭოს (2016-2020წწ.) მოწვევის გენდერული თანასწორობის საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის №14 ბრძანების შესაბამისად, 2017 წლის 21 მარტიდან გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია, ხოლო 2017 წლის 19 აპრილის №17 ბრძანებით, გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ჩხეტია - საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
2. მერაბ კარანაძე - უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ირაკლი ჭეიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;
4. დავით ბაციკაძე - „ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“-ს თავმჯდომარე;
5. ცოტნე ანანიძე - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
6. ილია ვერძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე;
7. ასმათ დიასამიძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
8. გია აბულაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
9. გიორგი ცინცქილაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
10. პეტრე ზამბახიძე - უმაღლესი საბჭოს წევრი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის აპარატი.

---

[1] ანგარიშში მოცემულია აჭარის ავტონიმიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2019 წლის მაისიდან 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

გენდერული თანასწორობის საბჭო საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და უზრუნველყოფს მისი შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, აჭარის რეგიონში დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის, ქალთა გაძლიერების, ქალთა მონაწილეობითი პოლიტიკის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

საანგარიშო პერიოდში შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ჩვენს მთავარ პარტნიორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძოდ:

2019 წლის 24 მაისს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო-სამუშაო შეხვედრა აჭარის უმაღლესი საბჭოს, ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის საკრებულოების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან.

2019 წლის 6 ივნისს ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა (№6), რომელზეც იმსჯელეს ამავე საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიშის უმაღლესი საბჭოსადმი წარდგენის შესახებ.

2019 წლის 9 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ქალთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრა-დისკუსიას დაესწრო.

2019 წლის 22 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით გამართულ შეხვედრას, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომის საკითხებზე მსჯელობას.

2019 წლის 15 ნოემბერს სასტუმრო რედისონში შედგა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომლის მთავარი თემა გახლდათ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2016-2019 წლების საქმიანობის შეფასება და გენდერული წარმომადგენლობების საკითხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში“. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, გია აბულაძე, პეტრე ზამბახიძე, საკანონმდებლო ორგანოს აპარატის, არასამთავრობო სექტორის, მედიისა და სტუდენტ-ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

2019 წლის 21 ნოემბერს სასტუმრო რედისონში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის IFES-ის მხარდაჭერით გაიმართა გენდერული თანასწორობის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, პეტრე ზამბახიძე, გიორგი ცინცქილაძე, საკანონმდებლო ორგანოს აპარატის წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდა აშშ-ის საკონსტიტუციო საზოგადოების პრეზიდენტი - ქეროლაინ ფრედრიქსონი. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის აუცილებლობაზე, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, რეგიონში ამ კუთხით არსებულ გამოწვევებსა და სამოქმედო გეგმაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 თებერვლის №82-უ.ს.რ.ს. დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების დონეზე. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა და ამ მიზნით კვოტირების მექანიზმთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება. აღნიშნული მიზანი წარმატებით იქნა განხორციელებული. კერძოდ:

2020 წლის 24 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი №124-უ.ს.რ.ს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის და შემდგომ 2028 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესი განისაზღვრება იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. ხოლო უმაღლესი საბჭოს 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო 2032 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესი განისაზღვრება იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ სხვა მიზნებს, მათზე მუშაობა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება გაგრძელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

პატივისცემით,
ნინო ჩხეტია

ნ. ჩხეტია

საბჭოს თავმჯდომარე